დაკარგული ქულა

ლენინგრადისა და თბილისის დინამოელები გათამაშების ცხრილში ახლო მეზობლები არიან. 29 სექტემბერს თანამოკლუბე ფეხბურთელები ერთმანეთს შეხვდნენ მორიგ კალენდარულ მატჩში. პირველ წუთებიდანვე უპირატესობა თბილისელების ხელში იყო. მათი მარჯვენა ფრთა, განსაკუთრებით მ. ჯოჯუა, აქტიურად უტევდა სტუმრებს. ზაზროშვილი რატომღაც უკან იყო დაწეული და ამიტომ მოწინააღმდეგისათვის საფრთხეს არ წარმოადგენდა. პირველ ნახევარში ანგარიში არ გახსნილა.

მეორე ტაიმი თბილისელების შეტევით დაიწყო, კვლავ აქტიურად თამაშობდა ჯოჯუა. მან მე-7 წუთზე მოედნის ცენტრიდან გაიტაცა ბურთი და მიაწოდა ა. ზაზროშვილს, რომელსაც მეკარე კუდრიავცევი ჩაუვარდა ფეხებში. მცირე ბრძოლის შემდეგ დამცველებმა ბურთი საჯარიმო მოედნიდან გამოიტანეს, მაგრამ ს. ჯეჯელავამ მოუსწრო და გაგზავნა ბადეში. 1:0. ორიოდე წუთის შემდეგ ზაზროშვილის მიერ მიწოდებული ბურთით რ. მახარაძე სწრაფად გავიდა წინ და ძლიერად დაარტყა. ბადეში შევარდა... მახარაძე, ხოლო ბურთი კარს აცდა.

თბილისელების შეტევა თანდათან ძლიერდებოდა, მაგრამ ამ დროს გუნდის მწვრთნელი შეცდომას უშვებს. მან მ. ჯოჯუა გ. გრამატიკოპულოთი შესცვალა. იგი ვერ აყვა თამაშის ტემპს, რამდენჯერმე დააგვიანა კომბინაციის გათამაშება. მატჩის მიწურულში ლენინგრადელებს საჯარიმო დარტყმის უფლება მიეცათ. ვიქტოროვმა ანგარიში გაათანაბრა (1:1).

თბილისელებმა დაკარგეს საჭირო ქულა, რომლის შენარჩუნება შესაძლებელი იყო.

ბ. ქორქია.

“ახალგაზრდა კომუნისტი”, 1 ოქტომბერი, 1949 წ.